საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასტელი

კასტელი (Castelli) დონ კრისტოფორო დე, XVII ს. იტალიელი მისიონერი, პატრი, თეატინელთა ორდენის წევრი. მხატვარი. საქართველოში ჩამოვიდა 1628 სხვა თეატინელებთან (ვინჩენცო კარაფა, ანტონიო ჯარდინა და ჯუსტო პრატო) ერთად. პირველ ხანებში ცხოვრობდა აღმ. საქართველოში (გორი). 1634 ანტონიო ჯარდინასთან ერთად შემოქმედის ეპისკოპოს მაქსიმე მაჭუტაძის (შემდგომში მაქსიმე I) მიწვევით გურიაში გადავიდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა დას. საქართველოს კათოლიკოს მალაქია II-თან – ცდილობდა რომში ქართველი ახალგაზრდების გაგზავნას სასწავლებლად. 1640 სამეგრელოში დასახლდა. მოგვიანებით ცხოვრობდა ქუთაისში, იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის კარზე, საიდანაც კვლავ სამეგრელოში დაბრუნდა. რამდენ ხანს დაყო კ-მ საქართველოში, ცნობილი არაა. სავარაუდოდ, ჯერ კიდევ 1650 იგი ქუთაისში იყო, შემდეგ იტალიაში დაბრუნდა.

კ-მ იცოდა ქართული ენა. მას მიაწერენ ორ *ლიტ.* ნაწარმოებს ქართ. ენაზე: „ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოს შესახებ" (უძღვნა ელენე ათაბაგს, რ-იც, ზოგიერთი ცნობით, კათოლიკედ მოაქცია) და „ფიქრები ქრისტეს წამების შესახებ" (უძღვნა კათოლიკოს მალაქია II-ს).

საქართველოში ყოფნის დროს კ-მ მრავალი საყურადღებო ჩანახატი გააკეთა – დახატა მრავალი ისტ. პირის პორტრეტი (მამია, სიმონ და ვახტანგ გურიელები, ლევან დადიანი, ელენე ათაბაგი, კათოლიკოსი მალაქია II, იმერეთის მეფე ალექსანდრე III, ნიკიფორე ირბახი, ქართლის მეფე გიორგი X, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, კახეთის მეფე თეიმურაზ I და ა. შ.); ადგილებისა და ცალკეული ნაგებობების ხედები (ტაძარი ბიჭვინთაში; გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, არგვეთი); ქართველთა ტიპები, კერძოდ, მეგრელები,

ჩერქეზები, თურქი და მოსკოველი მეომრები; მოსახლეობის სხვადასხვა ფენის საცხოვრებელი ადგილი, საყოფაცხოვრებო სცენები და ა. შ. ყველა სურათს აქვს ისტორიულად ღირებული მინაწერი. მისი ჩანახატები 2 ალბომს მოიცავს (500-ზე მეტი სურათი). ერთი ალბომი კ-ს იტალიაში დაბრუნებისას დაიკარგა, მეორე კი დაცულია ქ. პალერმოს კომუნალურ ბ-კაში. ამ ჩანახატების ნაწილი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა, მანვე ჩამოიტანა საქართველოში ჩანახატების ნაწილის ფოტოპირები. 1977 კ-ს ალბომი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. გიორგაძემ. კ-ს რელაცია, ჩანახატები და მინაწერები ძვირფას ცნობებს იძლევა XVII ს. საქართველოს *პოლიტ.* და ეკონ. ისტორიისათვის.

თხზ.: ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1976 [1977].

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ქ. ჩხატარაიშვილი